ირანის ისლამური რსპუბლიკა
კულტურული მემკვიდრეობის, ტურიზმისა და რეწვის სამინისტრო

majestic
IRAN
A Different Experience

ირანი ერთი ნახვით

ოფიციალური სახელწოდება: ირანის ისლამური რესპუბლიკა
დედაქალაქი: თეირანი
მოსახლეობა: 84 მილიონი
მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ): $231,5 მილიარდი
(2020წ.) (მონაცემთა მსოფლიო ბანკი)
რეგიონი: აზია
ვალუტა: რიალი

გეოგრაფია

ირანის ისლამური რესპუბლიკა მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. მოსაზღვრე ქვეყნებია: ჩრდილოეთიდან სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქმენეთი, აღმოსავლეთიდან ავღანეთი და პაკისტანი, დასავლეთიდან ერაყი, ჩრდილო-დასავლეთიდან თურქეთი.
ირანს სამხრეთიდან ეკვრის სპარსეთის ყურე და ომანის ზღვა.
ქვეყანა დაყოფილია ხუთ რეგიონად, რომლებიც მოიცავენ 31 ოსთანს (პროვინციას).

ჰავა

ირანი ცნობილია თავისი კლიმატური მრავალფეროვნებით; აქ გაბატონებულია ჰავის ცამეტი ტიპი, დაწყებული მშრალი და ნახევრად მშრალი ჰავიდან ქვეყნის ცენტრალური ნაწილში, სუბტროპიკულ ჰავამდე კასპიის ზღვის სანაპირო ზოლსა და ჰირკანული ტყეების ჩრდილოეთ ნაწილში.

საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა 2008- 2020 წლებში

გამავალი ტურიზმი	შემომავალი ტურიზმი	წელი
5330096	2025263	2008
6269094	2116245	2009
7497822	2938054	2010
7919901	3353713	2011
6771444	3686739	2012
6392834	4889218	2013
7698072	4967703	2014
6620656	5236909	2015
8989125	4942014	2016
10321182	4866939	2017
7960016	7294823	2018
9215745	9107261	2019
1862785	1903419	2020

ირანის ტურისტული ბაზრის წილი

შემომავალი

გამავალი



ეროვნული ტურისტული ინფრასტრუქტურა 2022 წელს

განმარტება	რაოდენობა	საწოლი ადგილების რაოდენობა	%
სასტუმრო	1456	176501	37.2
საოჯახო სასტუმრო	255	6950	1.5
ჰოსტელი	4347	54441	11.5
ბინა	812	53636	11.3
მოტელი	70	6008	1.3
ეკო კოტეჯი	3073	49518	10.4
სასტუმრო სახლი	1431	80248	16.9
დასასვენებელი სივრცე	2116	8310	1.8
ტრადიციული რესტორანი	993	7865	1.7
ტურისტული კომპლექსი	777	30769	6.5
სულ	11600	427949	100.0
ტურისტული მომსახურების ოფისები	5530	-	-
ტურისტული გზამკვლევი	12770	-	-

3 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების სტატისტიკა 2022 წ.

განმარტება	სასტუმრო ნომრის რაოდენობა	საწოლი ადგილის რაოდენობა
3 ვარსკვლავიანი	317	36909
4 ვარსკვლავიანი	136	26441
5 ვარსკვლავიანი	53	20773
სულ	506	84123

- ფრენები

საერთაშორისო ფრენები: 27

შიდა ფრენები: 16

- ეროპორტები: სულ 60

საერთაშორისო აეროპორტი: 6



ირანის ტურისტული პოტენციალი

სტუმართმოყვარეობა

ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება

იუნესკოში რეგისტრირებული მატერიალური მემკვიდრეობა

ხელნაკეთობა და ხელნაკეთი ხელოვნება

ხელნაკეთობების მსოფლიო ქალაქები

გემრიელი კერძები

თავგადასავალი

უნიკალური უძველესი და ისტორიული ადგილები

ჯანმრთელობის ტურიზმი

ირანის არამატერიალური მემკვიდრეობის ძეგლები იუნესკოს ნუსხაში

მოგზაურობისთვის შეღავათიანი ფასები

უსაფრთხოება

ღონისძიებები, ფესტივალები და სემინარები

განსაცვიფრებელი არქიტექტურა

ირანის ქალაქების შერჩევა ტურისტულ დედაქალაქებად

სასიამოვნო დასვენება

ეკოტურიზმის პოტენციალი

ირანული ბაღები

ირანის ქალაქების არჩევა იუნესკოს შემოქმედებით ქალაქებად

მდიდარი მუზეუმები

რელიგიური ტურიზმი

ოთხი სეზონის ქვეყანა

უსაფრთხოება



ირანი, უსაფრთხოების საერთაშორისო ინდექსის და გლობალური სამოგზაურო უსაფრთხოების რისკის რუკის მიხედვით, სამოგზაუროდ ისეთივე უსაფრთხოა, როგორც თურქეთი, ჩინეთი, რუსეთი, რუმინეთი, საბერძნეთი და ტაილანდი .

ტურიზმის ყველაზე დაბალი ხარჯები მსოფლიოში

მაქსიმალური მოგება მინიმალური დანახარჯით

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) მიერ გამოქვეყნებულ მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის უახლეს ანგარიშში, ირანი მესამედ გამოცხადდა უცხოელი ტურისტებისთვის ყველაზე ხელმისაწვდომ მიმართულებად.

ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება

ირანის ტურიზმის ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი

მულტიკულტურული და მულტი ეთნიკური გარემო საერთაშორისო ვიზიტორებისთვის ირანს კიდევ უფრო მეტად მიმზიდველს ხდის. ირანელი ხალხის ეთნიკური, ენობრივი და კულტურული მახასიათებელი, ირანისა და ირანელების იდენტობის ნაწილია, რომელიც რამდენიმე ათასი წლის შემდეგაც განაგრძობს არსებობას და ადაპტირდება ახალ გარემო პირობებთან.

სტუმართმოყვარეობა

შეიგრძენით სტუმართმოყვარეობის ნამდვილი განცდა, როგორც არსად სხვაგან.

ირანელები იმდენად კარგები არიან, რომ გულს გაგითბობენ და თქვენს მოგზაურობას დაუვიწყარს გახდიან.

ლეგენდარული ისტორია და ცივილიზაცია

უნიკალური უძველესი და ისტორიული ღირსშესანიშნაობები

ირანი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ცოცხალი ცივილიზაციის სამშობლოა.
აქ ნახავთ ბევრ ისტორიულ დასახლებასა და ქალაქს, რომელთა ასაკი **7000** წელზე მეტს ითვლის.

სასიამოვნო დასვენება

- მდიდრული დასვენება საერთაშორისო დონის სასტუმროებში
- მრავალფეროვანი ტრადიციული რესტორნები
- სპორტული დარბაზი
- სავაჭრო ცენტრები
- ტრადიციული სასტუმროები, რომლებიც განსაკუთრებულ კულტურულ ღირებულებას და თითოეული რეგიონის კულტურისა და არქიტექტურის სიმბოლოს წარმოადგენენ.
- ტრადიციული ირანული სტუმართმოყვარეობა.

განსაცვიფრებელი არქიტექტურა

არქიტექტურის ყველა სტილის საფუძველი

ირანული არქიტექტურა, სტრუქტურისა და ესთეტიკის თვალსაზრისით, დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც მდიდარ ტრადიციებსა და გამოცდილებას ემყარება.

მდიდარი მუზეუმები

ოქროს რიტონების ქვეყანა, განსაცვიფრებელი თასები და ქანდაკებები

814 მუზეუმი,

მდიდარი შთაბეჭდილება ათასობით წლის ეროვნული ხელოვნებისა და კულტურის შესახებ

.

ირანის ეროვნული მუზეუმი
ქვეყნის ყველაზე დიდი, ისტორიისა და არქეოლოგიის მუზეუმი, სამუზეუმო მუშაობის 80 წელიანი გამოცდილებით. სამუზეუმო კოლექციებში დაცულია 300 000 მეტი ექსპონატი. ექსპონატების ისტორიული მნიშვნელობის, სიძველის, მასშტაბისა და მრავალფეროვნების მიხედვით, ირანის ეროვნული მუზეუმი მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ მუზეუმებს შორის ერთ-ერთია.

ჯანმრთელობის ტურიზმი

სამედიცინო ტურიზმი

- სამედიცინო აღჭურვილობა, გამოცდილი და კვალიფიციური ექიმები
- მაღალი დონის მომსახურება
- მკურნალობის მოწინავე მეთოდები
- სამედიცინო ხარჯებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობა

გამაჯანსაღებელი და სპა ტურიზმი

- მინერალური წყაროები
- მარილის გამოქვაბულები და მარილიანი ტბები
- პლაჟები
- უდაბნოები
- სამკურნალო ტალახი

ტრადიციული მედიცინა და სამკურნალო მცენარეები

- რამდენიმე ათასი წლის გამოცდილება
- 8000-ზე მეტი მცენარის სახეობა (აქედან 2300-ზე მეტი სამკურნალო მცენარე, 1727 ენდემური სახეობა).

ირანის მიღწევები ჯანმრთელობის ტურიზმის სფეროში

- ირანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა სამედიცინო ტურიზმში, გლობალური და რეგიონული მასშტაბით ხარჯებისა და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაა
- რეგიონში პირველი ქვეყანა IVF კვლევებსა და უნაყოფობის მკურნალობაში
- მე-4 ადგილი მსოფლიოში უნაყოფობის მკურნალობისა და გინეკოლოგიის დარგში
- მე-12 ადგილი სტომატოლოგიის დარგში; მსოფლიოს ტოპ 10 ქვეყანას შორის ახლო აღმოსავლეთში კოსმეტიკური სტომატოლოგიის დარგში
- მე-10 ადგილი მსოფლიოში პლასტიკური ქირურგიის დარგში
- პირველი ადგილი აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში სკრინინგის, ოპტომეტრიასა და ოფთალმოლოგიაში
- 200 ქვეყანას შორის 27-ე ადგილი ნევროლოგიის დარგში
- თმის გადანერგვისა და აღდგენის გლობალური სტანდარტების დაცვა

ირანის უპირატესობები ჯანმრთელობის ტურიზმის სფეროში

1

სამედიცინო ტურიზმი

გამომდინარე იქიდან, რომ ირანის სამედიცინო ტურიზმს აქვს ძალიან მდიდარი ისტორია და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მომსახურებას გონივრულ ფასებში სხვადასხვა ისტორიულ, კულტურულ, ბუნებრივ და რეკრეაციულ ღირსშესანიშნაობებთან ერთად, მას აქვს საკმარისი პოტენციალი ჯანმრთელობის ტურისტების მოსაზიდად რეგიონიდან და მთელი მსოფლიოდან.

2

გამაჯანსაღებელი და სპა ტურიზმი

გეოგრაფიული და კლიმატური მრავალფეროვნების გამო, ირანი გამოირჩევა უნიკალური ბუნებრივი პეიზაჟებით - ჩრდილოეთით კასპიის ზღვის ულამაზესი პლაჟები, სამხრეთით სპარსეთის ყურე და ომანის ზღვა, ჩრდილოეთით უზარმაზარი ჰირკანული ტყეები, ხოლო სამხრეთ სანაპიროებზე მანგროს ტყეები, დასავლეთით მთიანი რეგიონები, ცენტრალურ ნაწილსა და დასავლეთის კიდეზე უნიკალური უდაბნოები.

3

ტრადიციული მედიცინა და სამკურნალო მცენარეები

ტრადიციულ ირანულ მედიცინას უძველესი თვითმყოფადი ტრადიციები და კულტურა გააჩნია. ისტორიამ შემოგვინახა ისეთი სახელები, რომლებიც განსაკუთრებით ცნობილი იყვნენ საექიმო-პრაქტიკული საქმიანობით და სამედიცინო აზროვნებით - ავიცენა, რაზი, ჯურჯანი და სხვები.
სამკურნალო და არომატული მცენარეების სამკურნალო თვისებების შესწავლა და მათი მოშენება საუკუნეების მანძილზე ირანული ტრადიციების ნაწილი იყო. ირანში ჰავის ცამეტი ტიპის არსებობა, სამკურნალო მცენარეების მრავალფეროვნებას განაპირობებს. ირანში შესწავლილია 8000-ზე მეტი მცენარის სახეობა, რომელთაგან 2300-ზე მეტი სამკურნალო სახეობისაა,1727 კი ენდემური სახეობაა.

სამედიცინო ტურიზმი

1 მოწინავე ტექნოლოგიები

ირანი განთქმულია თანამედროვე ჰოსპიტალური აღჭურვილობითა და ბიოსამედიცინო ინჟინერიით.
ირანის საავადმყოფოები, სამედიცინო ცენტრები და სპეციალიზებული ლაბორატორიები აღჭურვილია ინოვაციური სამედიცინო ტექნოლოგიებით რაც იძლევა ზუსტი დიაგნოსტიკის და მოწინავე მკურნალობის შესაძლებლობას.

2 გამოცდილი და კვალიფიციური ექიმები

ირანელი მაღალკვალიფიციური და გამოცდილი სამედიცინო კადრები გამოირჩევიან თავიანთი დამოკიდებულებით პაციენტის მიმართ. პაციენტები, რომლებიც ირანში მიიღებენ სამედიცინო მომსახურებას, შეუძლიათ ენდონ ირანელი ექიმების ცოდნას და უნარებს, რომლებიც ფლობენ მკურნალობის უახლეს მეთოდებს. კვალიფიციურ პროფესიონალებთან კონსულტაციის შესაძლებლობა უზრუნველყოფს პერსონალიზებულ მკურნალობის დაგეგმვას და მართვას, რაც პაციენტებს გაუჩენს სიმშვიდის და ნდობის განცდას. ირანული სამედიცინო ბრიგადა პაციენტს თან ახლავს ჩამოსვლის მომენტიდან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე და საჭიროების შემთხვევაში, საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების შემდეგაც.

სამედიცინო ტურიზმი

როგორც სამედიცინო ტურისტი ირანში, თქვენ VIP დონის მომსახურებას მიიღებთ, არასოდეს მოგიწევთ ლოდინი საჭირო ექიმის და საავადმყოფოს მოსაძებნად. ყველაფერი, რაც შეიძლება დაგჭირდეთ, შეთანხმებულია წინასწარ, დანიშნულების ადგილზე მისვლამდე.

აღსანიშნავია, რომ ირანს აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები ღეროვანი უჯრედებით მკურნალობაში; ასევე ირანი გთავაზობთ მოწინავე სამედიცინო მომსახურების ფართო სპექტრს, მათ შორის პლასტიკური ქირურგიას, კოსმეტიკური სტომატოლოგიას, უნაყოფობის მკურნალობს, ალოპეციის მკურნალობა და თმის გადანერგვას, ორთოპედიას, გულ-სისხლძარღვთა მკურნალობას, ოფთალმოლოგიას. გარდა ამისა, ყველა სახის ონკოლოგიური დაავადების დიაგნოსტიკას და მკურნალობას, ტრანსპლანტოლოგიას, ნეიროქირურგიას, ზურგის ტვინის დაზიანების მკურნალობას და სხვა მრავალ სამედიცინო მომსახურებას.

სამედიცინო ხარჯებისა და სერვისების ხელმისაწვდომობა, გლობალურ და რეგიონულ მასშტაბით ირანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობაა სამედიცინო ტურიზმში.

3 საუკეთესო სამედიცინო მომსახურება

4 მოწინავე მკურნალობა

5 სამედიცინო ხარჯებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობა

სამედიცინო ტურიზმის უმნიშვნელოვანესი მიმართულებები ირანში

- თეირანი, ახლო და შუა აღმოსავლეთის გულის ცენტრი
- შირაზი, ღვიძლის ტრანსპლანტოლოგიის ცენტრი ახლო და შუა აღმოსავლეთში
- იაზდი, უნაყოფობის მკურნალობის ცენტრი ახლო და შუა აღმოსავლეთში
- მეშჰედი
- ირანის სასაზღვრო პროვინციები

- სისტან-ბელუჯისტანი
- ჩრდ. ხორასანი
- ხუზისტანი
- ილამი
- ჰორმოზგანი
- გილანი
- აღმ. აზერბაიჯანი
- ხორასან რაზავი
- მაზანდარანი
- ქურთისტანი
- ქერმანშაჰი
- გულისტანი
- არდებილი
- დას. აზერბაიჯანი

სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი

მინერალური წყაროები

ირანში ასზე მეტი სხვადასხვა შემადგენლობის მინერალური წყლის ცხელი და ცივი წყაროა. ცხელ წყლებს აქვთ მნიშვნელოვანი გეოქიმიური მრავალფეროვნება, რაც ნერვული, რევმატული, სახსრების, კუნთოვანი და კანის დაავადებების შემსუბუქებას უწყობს ხელს. ამიტომ, ცხელი წყაროების თერაპია გამოიყენება როგორც დამატებითი მკურნალობის საშუალება. სამკურნალო დანიშნულებასთან ერთად, წყაროების გამორჩეული ბუნებრივი და გეოგრაფიული მდებარეობა ულამაზესი ხედებით, სასიამოვნო ჰავით, მიმზიდველი ტურისტული ინფრასტრუქტურითა და მომსახურების მაღალი ხარისხით, ყოველთვის იზიდავდნენ ტურისტის ყურადღებას.

მარილიანი პლაჟები და გამოქვაბულები

ურმიის მარილიანი ტბისა და მარილის მღვიმეების, მათ შორის გარმსარის მარილის მღვიმის არსებობის გამო, ირანი მარილით თერაპიისა და გამაჯანსაღებელი ტურიზმისთვის მიმზიდველი დანიშნულებას წარმოადგენს. ურმიის ტბა, ას ორი დიდი და პატარა კუნძულით, სიდიდით მეორე მარილიანი ტბაა მსოფლიოში, რომლის მარილიანი სანაპიროები, ტალახი და წყალმცენარეები ეფექტურია რესპირატორული, კანის დაავადებებისა და რევმატიზმის სამკურნალოდ.

ზღვის სანაპიროები

ჩრდილოეთით კასპიის ზღვის, ხოლო სამხრეთით სპარსეთის ყურის და ომანის ზღვის ლაჟვარდისფერი სანაპიროები, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის კიდევ ერთი უნიკალური მიმართულებაა ირანში. ზღვის წყლის იშვიათი ელემენტები, თბილ წყალში ცურვა, სანაპიროზე სეირნობა და ცხელ ქვიშაზე დასვენება, ხელს უწყობს ჯანმრთელობისა და სხეულის იმუნური სისტემის გაუმჯობესებასა და გაძლიერებას, კუნთებს გამკვრივებას, ამცირებს სტრესს.

სამკურნალო ტალახი

სამკურნალო ტალახი ბუნებრივი მოვლენაა, რომლის დროსაც ტალახის მასა დედამიწის ზედაპირზე წყაროების სახით აღწევს. მიწის წიაღიდან ამოსული ტალახის წყაროები ერთდებიან და მასში არსებული მინერალები და ორგანული ნივთიერებები პატარა და დიდ კონუსებს წარმოქმნიან.
ეფექტურია დამატებითი თერაპიის სახით კანის მრავლობითი დაავადების, ვაზოკონსტრიქციის, სახსრების ტკივილის, წელკავის და კუნთების ტკივილის სამკურნალოდ. მსოფლიოს 800 ტალახის ვულკანის ნახევარზე მეტი მდებარეობს კასპიის ზღვისა და ომანის ზღვის სანაპირო ზოლში. ქალაქ ხაშის მახლობლად ფირგელის ცივი ვულკანური ტალახი, კიდევ ერთი უნიკალური ადგილია ირანში.

უდაბნოები

ირანის უდაბნოები სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და რეკრეაციული პოტენციალის თვალსაზრისით, ტურისტების დიდ რაოდენობას იზიდავს. უდაბნო მრავალფეროვან და საინტერესო გამაჯანსაღებელ და სათავგადასავლო მოგზაურობას სთავაზობს ვიზიტორს, აგრეთვე ქვიშის და მზის თერაპიას, მედიტაციას, უდაბნოს ჯადოსნური ვარსკვლავური ცის დაკვირვებას, ცხელ ქვიშაზე ხანგრძლივი სეირნობას, აქლემით ჯირითს, საფარის, ზიპლაინს და სხვა. მსოფლიოში ყველაზე დიდი ქვიშის დიუნები ქერმანის პროვინციის რიგანის ოლქში ერთ-ერთი უნიკალური ატრაქციაა გამაჯანსაღებელი ტურიზმის სფეროში; ტურისტები ცხელ ქვიშაზე იძინებენ და თანდათან შთანთქავენ უდაბნოს ქვიშის სითბოს, რაც ეფექტურია კანისა და სახსრების დაავადებების სამკურნალოდ.

მისრის, ლუთის, მარანჯაბის, ჰელვანის, მათინაბადის უდაბნოები, ზარდგაჰის ყველაზე მწვანე უდაბნო ირანში, ყველაზე დიდი დასასვენებელი უდაბნო ადგილი ირანში ვარზანეს უდაბნო, ირანის ერთ-ერთი ულამაზესი ქვიშის დიუნების უდაბნო ოქროს ქვიშის უდაბნო, შაჰდადის უდაბნო ქვიშის, წყლისა და ქარის ეროზიით წარმოქმნილი მაღალი იარანგების საოცარი ფენომენებით, ლუთის უდაბნოს ყველაზე ცხელი ნაწილი განდომბერიანი, ვულკანური კონუსები, ქვიშის მაღალი პირამიდები, ნაცრისფერი და ყავისფერი ქვიშის დიუნების ვრცელი ტერიტორიები, ტალღოვანი ქვიშის დიუნები და სხვა, წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე.

ირანული ხელნაკეთობა
და ხელით ქსოვის ხელოვნება

- სხვადასხვა პერიოდში დაჯილდოებულია 358 ხელნაკეთობების პრემიუმ ხარისხის მარკით.
- 18 ჯგუფში კლასიფიცირებული ხელოსნობის 299 დისციპლინა.



ეკოტურიზმის პოტენციალი (ირანის ბუნების მაგია)

ბუნებაში დასვენების მოყვარულებს შეუძლიათ ისიამოვნონ ბუნებრივ გარემოში მოგზაურობით.

ირანის მრავალფეროვანმა ფიზიკურ - გეოგრაფიულმა და კლიმატურმა თავისებურებამ განაპირობა მდიდარი ფლორისა და ფაუნის ჩამოყალიბება. ირანი მსოფლიოში ერთ-ერთია ყველაზე მდიდარი ბიომრავალფეროვნების მქონე ქვეყანაა.

ჯუნძულ ქიშის ტურისტული პოტენციალი

- საერთაშორისო აეროპორტი
- თავისუფალი სავაჭრო-სამრეწველო ზონა
- ბუნების და მატერიალური კულტურის ღირსშესანიშნაობები
- 53 სასტუმრო
- 20000-ზე მეტი საწოლი ადგილი
- 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროები

ჯუნძულ ყეშმის ტურისტული პოტენციალი

- 73 ეკოტურისტული კოტეჯი 2804 საწოლი ადგილით
- საერთაშორისო აეროპორტი
- თავისუფალი სავაჭრო-სამრეწველო ზონა
- ბუნების და მატერიალური კულტურის ღირსშესანიშნაობები
- 49 სასტუმრო
- პირველი გეოპარკი ახლო და შუა აღმოსავლეთში
- 11849 საწოლი ადგილი

გეემრიელი სამზარეულო

კულტურის და ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი

ირანის ეროვნული სამზარეულოს მრავალფეროვნება, განპირობებულია ქვეყნის ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნებით. თითქმის ყველა ქალაქს და რეგიონს აქვს მისთვის დამახასიათებელი უნიკალური გასტრონომიული კულტურა და გამორჩეული კერძები.

ოთხი სეზონის ქვეყანა

ირანი, ოთხი სეზონის ქვეყანაა

მსოფლიოში ცნობილი ჰავის 13 ტიპიდან, ირანში ჩამოყალიბებულია ჰავის 11 ტიპი.





ღონისძიებები, ფესტივალები და სხვადასხვა ცერემონიები, როგორც ტურისტული ღირსშესანიშნაობა

1192 ტურისტული ღონისძიება

ფესტივალები, რიტუალები, ღონისძიებები და ტრადიციული ცერემონიები, ტურისტული მიმზიდველობის განმაპირობებელი სხვა ფაქტორებია.







სათავგადასავლო ტურიზმი

ირანი, უნიკალური ეკოსისტემით, ხელუხლებელი პეიზაჟებით, მნიშვნელოვანი ბიომრავალფეროვნებით და რეგიონში გამორჩეული კლიმატით, ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი სათავგადასავლო ადგილია მოგზაურთათვის მთელი მსოფლიოდან.

ირანული ბაღები

სამოთხე დედამიწაზე

თავის მნიშვნელობის გამო 9 ირანული ბაღი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი.

ეს 9 ბაღი, ირანული ბაღების არქიტექტურის მრავალფეროვნების სხვადასხვა კლიმატური პირობებთან ადაპტირების ნიმუშია.





რელიგიური ტურიზმი

ირანი ოდითგანვე რელიგიათა მშვიდობიანი თანაცხოვრების აკვანს წარმოადგენს. ირანის მდიდარი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა განსაზღვრავს რელიგიური და საპილიგრიმო (მომლოცველთა) ტურების პოპულარობას.
ირანში ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი მოგზაურობს სალოცავების, უძველესი და თანამედროვე საკულტო დანიშნულების ადგილების მოსანახულებლად.

მაშჰადი

ისლამური ქვეყნების (OIC) კულტურული დედაქალაქი (2017 წ.)

4

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა დროს ტურისტულ დედაქალაქად შერჩეული ირანის ქალაქები

თავრიზი	2018
ჰამედანი	2018
სარი	2022
არდებილი	2023

არდებილი

ტურისტული
დედაქალაქი
ECO
2023 წელი



ჰამედანი

ტურისტული
ქალაქი
ACD
2018 წელი



სარი

ტურისტული
დედაქალაქი
ECO
2022 წელი

თავრიზი

ტურისტული ქალაქი
OIC
2018 წელი

ირანის ხელოსნობის მსოფლიო ქალაქები

იუნესკოში
რეგისტრირებულია
14 ქალაქი და
სოფელი

თავრიზი	ხალიჩების მსოფლიო ქალაქი
ისპაჰანი	ხელნაკეთობების მსოფლიო ქალაქი
ლალეჯინი	კერამიკის მსოფლიო ქალაქი
მეშჰედი	ძვირფასი ქვების მსოფლიო ქალაქი
სირჯანი	ფარდაგების მსოფლიო ქალაქი
ქალფურგანი	მეთუნეობის მსოფლიო სოფელი
მარივანი	ქალაშების (ტრადიციული ფეხსაცმელი) მსოფლიო ქალაქი
აბადე	ხეზე კვეთის მსოფლიო ქალაქი
მეიბოდი	ზილუს (ფარდაგის ნაირსახეობა) მსოფლიო ქალაქი
ხორაშადი	თუბაფის (ბამბის ან აბრეშუმის ქსოვილის დამზადების ტრადიციული მეთოდი) მსოფლიო ქალაქი
ზენჯანი	ფილიგრანის (ოქროს, ვერცხლისა და მისთ. მავთულისაგან გაკეთებული საოქრომჭედლო ნაკეთობა) მსოფლიო ქალაქი
შირაზი	ხელნაკეთობების მსოფლიო ქალაქი
მალაიერი	ინკრუსტირებული ავეჯის მსოფლიო ქალაქი
ყასემაბადი	ჩადორშაბის (ბამბის ან აბრეშუმის ფერადი, როგორც წესი კუბოკრული ქსოვილი) ქსოვის მსოფლიო ქალაქი

ისპაჰანი

WCC - ხელნაკეთობების მსოფლიო ქალაქი, 2015წ.

- ისპაჰანი ირანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქია, რომლის ისტორია ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულიდან იღებს სათავეს.
- ისპაჰანი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) წევრი პირველი ირანული ქალაქია, რაც განაპირობა აქ არსებული ხელოვნების დარგების (130-ზე მეტი) მრავალფეროვნებამ.
- ირანში ხელნაკეთი ნივთების წარმოებისა და მიწოდების უდიდესი ბაზარი სწორედ ამ ქალაქშია.
- ისპაჰანში 15000-ზე მეტი სახელოსნო და 20000-ზე მეტი ხელოსანია.
- ისპაჰანის ხელოვნების და ხელოსნობის ყველაზე მნიშვნელოვანი დარგებია: ჭედურობა, ინკრუსტაცია, მინანქარი, ტრადიციული მოჭიქვა და სხვა.

თავრიზი

WCC – ხალიჩების მსოფლიო ქალაქი, 2015წ.

- 2018 წელს ისლამური ტურიზმის დედაქალაქად არჩეული ქალაქი თავრიზი, მსოფლიოში ხალიჩების ქსოვის ერთ-ერთ უდიდეს და მნიშვნელოვან ცენტრად მიიჩნევა.
- თავრიზული ხალიჩა, დამახასიათებელი მრავალფეროვანი ორნამენტული კომპოზიციით, ფლორისტული ორნამენტებით, სიჭრელით და ხარისხით, ხალიჩის ბაზრის ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტია.

მეშჰედი

WCC– ძვირფასი ქვების მსოფლიო ქალაქი, 2016წ.

- ცნობილია **39** სხვადასხვა სახეობის ძვირფასი ქვა
- ამ ქალაქში **500**-მდე სხვადასხვა სახელოსნოში, ხელოსანთა ორგანიზაციაში რეგისტრირებული **16** ათასზე მეტი ხელოსანი მუშაობს
- აქ მდებარეობს ყველაზე პოპულარული ძვირფასი ქვების, ფირუზის (**5** ტონა წლიური მოპოვება) და აქატის (**9** ტონა წლიური მოპოვება) საბადოები
- ქვეყნის მასშტაბით ძვირფასი ქვების დამუშავების სახელოსნოების დაახლოებით **90%** მეშჰედში მდებარეობს.

ლალეჯინი

WCC –კერამიკის მსოფლიო ქალაქი, 2016წ.

- ლალეჯინი სულ რაღაც **25** კილომეტრითაა დაშორებული ჰამადანიდან, ირანის უძველესი დედაქალაქიდან.
- ეს ადგილი განთქმულია ხელნაკეთი ჭურჭლისა და კერამიკის უნიკალური ხელოვნებით, რის გამოც ახლო აღმოსავლეთის კერამიკის დედაქალაქის წოდებაც მიიღო.
- **20** ათასიანი ქალაქ ლალეჯინის მოსახლეობის დაახლოებით **80%** დაკავებულია მეთუნეობით.
- ამ ქალაქში კერამიკის ათასი სახელოსნოა
- ლალიჯინში **28** კატეგორიის **5000** სახეობის კერამიკული ჭურჭელი იწარმოება.

ქალფურგანი

WCC – მეთუნეობის მსოფლიო სოფელი, 2017წ.

- სოფელი ცნობილია, როგორც კერამიკის ერთადერთი ცოცხალი მუზეუმი მსოფლიოში და თარიღდება 7000 წლით.
- მეთუნეობის ხელოვნება (სამეთუნეო იარაღის - მორგვის გამოყენების გარეშე), ზეპირად გადაეცემოდა ერთი თაობიდან მეორეს.
- ქალფურგანის კერამიკის ცოცხალი მუზეუმი დაარსდა 2009 წელს.
- ეს სოფელი ყოველწლიურად 20-დან 25 ათასამდე ტურისტს მასპინძლობს.

სირჯანი

WCC –ფარდაგების მსოფლიო ქალაქი, 2017წ.

- 12 ათასი აქტიური მქსოველი.
- მრავალფეროვანი ტექნიკა, რომელთაგან თითოეული უნიკალურია.
- თითოეულ ნახელავში გამოყენებული მოტივები, კომპოზიცია და ფერები არ მეორდება და გადმოსცემს მქსოველის აზრებსა და გრძნობებს, რომლებიც შთაგონებულია ბუნებით, გარემოთი, რწმენით, ჩვევებითა და ტრადიციებით.
- სწორედ ამიტომ, თითოეული ფარდაგი მქსოველის უნიკალური გემოვნებით იქსოვება.
- ქსოვის ამ ტექნიკის ისტორია ქერმანსა და სირჯანის რეგიონში სეფიანების ხანიდან იწყება.

აბადე

WCC – ხეზე კვეთის მსოფლიო ქალაქი, 2018წ.

- თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე **1000** წლით.
- აბადეში შემონახულია ირანული ხეზე კვეთის ყველაზე ტრადიციული სტილი.
- ეს პატარა ქალაქი ცნობილია როგორც ხეზე კვეთის ხელოვნების აკვანი ირანსა და მსოფლიოში.
- აბადეს ხეზე კვეთის ხელოვნების სტილი კლასიფიცირდება როგორც "ნაკლებრელიეფური" კვეთის სტილი.
- აბადეში წარმოებული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროდუქტია ხის კოვზები, რომლებსაც „შერბეთის კოვზებს“ უწოდებენ.

მარივანი

WCC –ქალაშების (ტრადიციული ფეხსაცმელი) მსოფლიო ქალაქი, 2017წ.

- **10 000**-ზე მეტი ოსტატი.
- მარივანი **2015** წელს დარეგისტრირდა „ქალაშ ბაფის" (ტრადიციული ფეხსაცმლის ქსოვა-დამზადება) ეროვნული ქალაქად.
- **3000**-ზე მეტი აქტიური სახელოსნო.
- სიმსუბუქის, კომფორტის, ჰაერის გამტარობის, სიმყარის, დრეკადობის და მთიან რეგიონში მოხმარების კომფორტულობის, ასევე ამ ფეხსაცმლის საზეიმო დანიშნულების თვალსაზრისით, ქალაშის ტარება განიხილება როგორც ისტორიული ტრადიცია და ადგილობრივი თვითმყოფადობის ნიშანი მარივანისა და ზოგადად ქურთისტანის პროვინციაში.
- არ განსხვავდება მარჯვენა და მარცხენა ფეხის ფეხსაცმელი.
- ქალაშის ნედლეული ადგილობრივი და ხელნაკეთია.

ხორაშადი

WCC – თუბაფის (ტრადიციული ბამბის ან აბრეშუმის ქსოვილის დამზადება) მსოფლიო ქალაქი, 2018წ.



- თუბაფი - ხელით ნაქსოვი ქსოვილი
- ხორაშადი პატარა სოფელია ირანის აღმოსავლეთით, სამხრეთ ხორასნის პროვინციაში.
- ეს სოფელი რეგისტრირებულია როგორც ირანის ხალხური რეწვის პირველი სოფელი.
- თუბაფი არის ტრადიციული ბამბის ან აბრეშუმის ქსოვილის წარმოების ხელობა.
- დღეში საშუალოდ 1200 კვადრატული მეტრის წარმოებით, აბრეშუმის და ბამბის ქსოვილის ეს სახეობა ხალიჩებისა და ფარდაგების შემდეგ ყველაზე გაყიდვადი ხელნაკეთი პროდუქტია სამხრეთ ხორასნის პროვინციაში.

მეიბოდი

WCC –ზილუს (ფარდაგის ნაირსახეობა) მსოფლიო ქალაქი, 2018წ.

- მეიბოდი ზილუს (ფარდაგის ნაირსახეობა, ირანში ხელნაკეთი ხალიჩების ერთ-ერთი უძველესი სახეობა) სამშობლოა.
- წარმოების პროცესი რთულია, ფერები სადა, მცირე ვარიაციებით.
- ზილუ ორმხრივი ფარდაგია, თითოეულ მხარე განსხვავებულია იერსახით.
- ზილუს ქსოვისას ნატურალური, მცენარეული ნედლეული გამოიყენება.
- ცნობილია როგორც "ჯანმრთელი ხალიჩა" (არ იმუხტება, არ აქვს მტვერი, ანტიალერგიულია).
- ამჟამად მეიბოდში დაახლოებით 500-ზე მეტი ზილუს მქსოველი ცხოვრობს.
- მეიბოდში არაერთი საქსოვი სასწავლო სახელოსნოა, ასევე ფუნქციონირებს ზილუს მუზეუმი, სადაც დაცულია 50-მდე ძვირფასი ხელით ნაქსოვი ზილუ, მათგან ყველაზე ძველი XV საუკუნით თარიღდება.

შირაზი

WCC – ხელნაკეთობების მსოფლიო ქალაქი

- პროფესორ არტურ პოუპის წიგნის მიხედვით, შირაზში ხელოსნობა ყვაოდა.
- შირაზი საერთაშორისო მასშტაბით ცნობილია ინკრუსტაციისა და ხეზე კვეთის ხელოვნებით, რაც შირაზის ხალხური რეწვის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ქსოვის შემდეგ.
- შირაზში დაახლოებით 13 000 კერძო მცირე სახელოსნო ფუნქციონირებს.

ზენჯანი

WCC – ფილიგრანის (ოქროს, ვერცხლისა და მისთ. მავთულისაგან გაკეთებული საოქრომჭედლო ნაკეთობა) მსოფლიო ქალაქი, 2019წ.

- ფლიგრანი ზენჯანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხელოვნების და ხელნაკეთობის დარგია.
- ქალაქში ლითონის ძაფებით გაკეთებული მხატვრული საოქრომჭედლო ნაკეთობის არაერთი სახელოსნო ფუნქციონირებს.
- ირანული ფილიგრანის არაერთი ნიმუში დაცულია ისეთ მუზეუმებში, როგორიცაა ლუვრი, ერმიტაჟი და მეტროპოლიტენი.

5 ირანული ქალაქი იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქების ქსელის ნაწილი გახდა (UCCN)

295-ზე მეტი ქალაქი და 90 ქვეყანა მთელს მსოფლიოს მასშტაბით

1 **რეშთი**
გასტრონომიის შემოქმედებითი ქალაქი (2015)

2 **ისპაჰანი**
ხელნაკეთობების და ხალხური ხელოვნების შემოქმედებითი ქალაქი (2015)

3 **ბანდარაბასი**
ხელნაკეთობების და ხალხური ხელოვნების შემოქმედებითი ქალაქი (2019)

4 **სანანდაჯი**
მუსიკის შემოქმედებითი ქალაქი (2019)

5 **ქერმანშაჰი**
გასტრონომიის შემოქმედებითი ქალაქი (2021)

რეშთი

გასტრონომიის შემოქმედებითი ქალაქი (2015)

შესანიშნავი არჩევანი გემრიელი კერძების მოყვარული ადამიანებისთვის.

ისპაჰანი

ხელნაკეთობების და ხალხური ხელოვნების შემოქმედებითი ქალაქი (2015)

ბანდარაბასი

ხელნაკეთობების და ხალხური ხელოვნების შემოქმედებითი ქალაქი (2019)



სანანდაჯი

მუსიკის შემოქმედებითი ქალაქი (2019)

ირანის დასავლეთით მდებარე ქალაქი სანანდაჯი, როგორც მუსიკის შემოქმედებითი ქალაქი, ხოლო სამხრეთით მდებარე ქალაქი ბანდარაბასი - ხელნაკეთობების და ხალხური ხელოვნების შემოქმედებითი ქალაქი აღიარებულია იუნესკოს მიერ.

ქერმანშაჰი

გასტრონომიის შემოქმედებითი ქალაქი (2021)

იუნესკომ ქერმანშაჰი გასტრონომიის **37**-ე შემოქმედებით ქალაქად აღიარა. ირანის დასავლეთით მდებარე ქერმანშაჰის პროვინციაში დაახლოებით **80** სახეობის კერძი, **11** სახეობის პური, **20** სახეობის ტკბილეული და ნუგბარია.

ირანის არამატერიალური კულტურის ძეგლები არამატერიალური მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში

1. ირანული მუსიკის კორპუსი (რადიფი) (2009)
2. თაზიეს რიტუალური თეატრალური ხელოვნება (2010)
3. ფაჰლევანისა და ზურხანეს რიტუალები (2010)
4. ხორასნული ბახშის (ხალხური მომღერალი, ფოლკლორის შემსრულებელი) მუსიკა (2010)
5. ხალიჩების ქსოვის ტრადიციული უნარ-ჩვევები ფარსში (2010)
6. ხალიჩების ქსოვის ტრადიციული ხელოვნება ქაშანში (2010)
7. სპარსეთის ყურეში ირანული ბარკასის ტიპის ნავების აგების და ნაოსნობის ტრადიციები (2011)
8. ნაყალი, დრამატული თხრობის ირანული ტრადიციები (2011)
9. ყალიშუიანის რიტუალი მაშჰადე არდაჰალში, ქაშანი (2012)
10. ნოვრუზი (2016)
11. პურის დამზადება და გაზიარების კულტურა: ლავაში, კატირმა, ჯუფკა, იუფკა (2016)
12. ჩოგანბურთი, საცხენოსნო თამაში, რომელსაც თან ახლავს მუსიკა და ამბის თხრობა (2017)
13. ხემიანი სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტის ქამანჩას დამზადებისა და დაკვრის ხელოვნება (2017)
14. დოთარის დამზადებისა და დაკვრის ტრადიციული ხელოვნება (2019)
15. პილიგრიმობა წმინდა თადეოსის ეკლესიაში (2020)
16. მინიატურის ხელოვნება (2020)
17. ირანული კალიგრაფიის ტრადიციული ხელოვნების დაცვის ეროვნული პროგრამა (2021)
18. აბრეშუმის ჭიის მოშენება და აბრეშუმის ქსოვილის ტრადიციული წარმოება (2022)
19. ქარგვის თურქმენული ხელოვნება (2022)
20. იალდა (2022)
21. უდის დამზადების და დაკვრის ტრადიციები (2022)

იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში რეგისტრირებულია ირანის 21 არამატერიალური ძეგლი.

იალდა

2022

უდის დამზადების და დაკვრის ტრადიციები

2022

აბრეშუმის ჭიის მოშენება და აბრეშუმის ქსოვილის ტრადიციული წარმოება

2022

ქარგვის თურქმენული ხელოვნება

2022

ირანული კალიგრაფიის ტრადიციული ხელოვნების დაცვის ეროვნული პროგრამა

2021

პილიგრიმობა წმინდა თადეოსის ეკლესიაში

2020

მინიატურა

2020

დოთარის დამზადებისა და დაკვრის ტრადიციული ხელოვნება

2019

ჩოგანბურთი, საცხენოსნო თამაში, რომელსაც თან ახლავს მუსიკა და ამბის თხრობა

2017

ხემიანი სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტის ქამანჩას დამზადებისა და დაკვრის ხელოვნება

2017

ნოვრუზი

2016

პურის დამზადება და გაზიარების კულტურა: ლავაში, კატირმა, ჯუფკა, იუფკა

2016

ყალიშუიანის რიტუალი მაშჰადე არდაჰალში, ქაშანი ნოურუზი

2012

სპარსეთის ყურეში ირანული ბარკასის ტიპის ნავების აგების და ნაოსნობის ტრადიციები

2011

ნაყალი, დრამატული თხრობის ირანული ტრადიციები

2011

თაზიეს რიტუალური თეატრალური ხელოვნება

2010

ფაჰლევანისა და ზურხანეს რიტუალები

2010

ხორასნული ბახშის (ხალხური მომღერალი, ფოლკლორის შემსრულებელი) მუსიკა

2010

ხალიჩების ქსოვის ტრადიციული უნარ-ჩვევები ფარსში

2010

ხალიჩების ქსოვის ტრადიციული ხელოვნება ქაშანში

2010



ირანული მუსიკის კორპუსი (რადიფი)

2009

ირანის 26 მატერიალური კულტურის ძეგლი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში

უძველესი ძეგლების მრავალფეროვნება, ქალაქური ინჟინერიისა და არქიტექტურის მდიდარი ნიმუშები

1. ჩოღაზამბილი (1979)
2. პერსეპოლისი (1979)
3. ნაყშე ჯეჰანის მოედანი ისპაჰანში(1979)
4. თახთე სოლეიმანი (2003)
5. ფასარგადი (2004)
6. ბამის კულტურული ლანდშაფტი (2004)
7. სოლთანიე (2005)
8. ბეჰისთუნი (2006)
9. სომხური მონასტრების ანსამბლი(2008)
10. შუშტარის ისტორიული წყლის სისტემა (2009)
11. შეიხ სეფი ად-დინის მავზოლეუმი არდებილში (2010)
12. თავრიზის ისტორიული ბაზრის კომპლექსი (2010)
13. ირანული ბაღები (2011)
14. ისპაჰანის საკრებულო მეჩეთი (2012)
15. გონბადე ქავუსის კოშკი (2012)
16. გოლესთანის სასახლე (2013)
17. შაჰრე სუხთე (2014)
18. მეიმანდის კულტურული ლანდშაფტი (2015)
19. სუზა (2015)
20. ირანული ყანათი (2016)
21. ლუთის უდაბნო (2016)
22. ისტორიული ქალაქი იაზდი (2017)
23. ფარსის სასანიდური არქეოლოგიური ლანდშაფტი(2018)
24. ჰირკანული ტყეები (2019)
25. ურამანატის კულტურული ლანდშაფტი (2021)
26. ირანის ნაციონალური რკინიგზა (2021)

1
ჩოღაზამბილი
ხუზისტანის
პროვინცია
1979

2
პერსეპოლისი
ფარსის პროვინცია

1979

3
იმამის
მოედანი
(ნაყშე ჯეჰანი)
ისპაჰანი
1979

4
თახთე სოლეიმანი
დას.აზერბაიჯანის
პროვინცია
2003

5
ფასარგადი
ფარსის პროვინცია

2004

6
ბამის
ეულტურული
ლანდშაფტი
ქერმანის პროვინცია
2004

7
სოლთანიე
ზენჯანის პროვინცია
2005

8
ბეჰისთუნი
ქერმანშაჰის პროვინცია
2006

9
ირანის სომხური მონასტრების ანსამბლი
დას.აზერბაიჯანის პროვინცია
2008

10
შუშტარის ისტორიული წყლის სისტემა
ხუზისტანის პროვინცია
2009

11
შეიხ სეფი ად-დინის მავზოლეუმი
არდებილის პროვინცია
2010

12
თავრიზის ისტორიული ბაზრის კომპლექსი
აღმ.აზერბაიჯანის პროვინცია
2010

13

ირანული ბაღები

2011

14

ისპაჰანის

საპრეზიდენტო

მეჩეთი

2012

15

გონბადე ქავუსი

გულისტანის

პროვინცია

2012

16

გოლესთანის

სასახლე

თეირანის პროვინცია

2013

17

შაჰრე სუხთე

სისტან-ბელუჯისტანის

პროვინცია

2014

18

მეიმანდი

ულტურული

ლანდშაფტი

ქერმანის პროვინცია

2015

19
სუზა
ხუზისტანის
პროვინცია
2015

20
ირანული
ყანათი
2016

21
ლუთის უდაბნო
2016

22
ისტორიული
ქალაქი იაზდი
2017



23
ფარსის
სასანიდური
არქეოლოგიური
ლანდშაფტი
2018

24
ჰირკანული
ტყეები
2019

25

ურამანატის კულტურული ლანდშაფტი ქერმანშაჰის და ქურთისტანის პროვინციები

2021



26

ტრანსირანული რკინიგზა

2021

majestic
IRAN
A Different Experience

ქართულ ენაზე ითარგმნა
თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის
საელჩოს კულტურის განყოფილების მიერ